ცნობის ფურცელი

№ 1948 ოთხშაბათი, 9 ოკტომბერი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1948

ხელის მოწერის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

წარმოდგენა 4 ტელეფონი 617

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 10 ოქტომბერს 1902 წ.

ნინო ჩხეიძის საგასტროლოდ

ქართულ დრამატიულ დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

ორი პიესა

I

უბედური ნაბიჭი

დრამა 3 მოქმ. კარეევისა, თარგ. თავ. შ. დადიანის მიერ.

II

კვალ-და-კვალ

კომ. 3 მოქმ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ნ. რონელი, ნ. ჩხეიძე, ჩერქეზიშვილი და სხვ.; ბ-ნნი: დ. აწყურელი, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, კ. მესხი, ლანდი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი და სხვანი.

ადგილების ფასი: ლოჟები 5 მანეთიდან 10 მანეთამდე, პარტერი 70 კაპეიკიდან 3 მანეთამდე, ამფითეატრი 80 კ.-დან 1 მ. 50 კ-მდე, გალერეა 25 კ-დან 35 კ-მდე. მოწაფეებისთვის ადგილები პარტერში 60 კაპ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე

მზადდება წარმოსადგენად: „მუშაკი და ნებიერი“, „უბედურ ვარსკვლავზე“ და სხვ.

რეჟისორი **ვ. გუნია.**

ქართველ თავად-აზნაურთა თეატრი

(ტელეფონი № 617)

დღეს, ოთხშაბათს, 9 ოქტომბერს, ხარკოვის საოპერო დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

რიგოლეტტო

ოპერა 4 მოქმედ. მუსიკა ვერდისა.

1-ლ დებიუტისთვის აასრულებენ: ჯილდას როლს—**ქნ. ოგინინა**, ჰერცოგისას—**ბ. დნეპროვსკი** და სპარაფუჩილესას—**ბ. ტომაშევიჩი.**

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ოლგინისა, კარამზინ-ჟუკოვსკისა, სკორუპსკისა, გრინჩენკო; ბ-ნნი: დნეპროვსკი, პოლუიანოვი, ტომაშევიჩი, პეტროვი, სერგეევი, სვაბოდინი და სხვანი. **კაპელმეისტერი** ლ. შტეინბერგი. **ხორმეისტერი** ა. გ. ზვერჟანსკი. **ბალეტმეისტერი** მენაბენი. **ადმინისტრატორი** მ. დურანდინი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

კასსა ღიაა დილის 10-დან ნაშუადღევის 3 საათამდე და საღ. 6 საათიდან წარმოდგენის გათავებამდე.

პარასკევს, 11 ოქტომბერს, წარმოდგენილი იქნება **„ჰუგენოტები“**. რაულის პარტიას აასრულებს ბ. ბონაჩიჩი.

ხვალ, ხუთშაბათს „ტფ. კრუჟოკ“-ში წარმოდგენილი იქნება **„პიკოვაია დამა“.**

სახელდობრ ნაწილის გამგე **ივ. ფითოევი.** (ნ. 0—17)

ექიმი

ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ჯაჩნაძისა. (წ).

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

(**მიხეილის ქუჩა, 30.—ტელეფონი 450**).

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 10—1 საათამდე და საღამოთი 6—8-მდე.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

კვირას, 13 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე დანიშნულია წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

კრება

ნაცვლად არ შემდგარის კრებისა. განსახილველია: 1) წარსული წლების ანგარიშები და 2) ამხანაგობის პირობის ზოგიერთ მუხლების გადასინჯვა.

კრება იქმნება ამხანაგობის სადგომში, ვანქის დიდ ქუჩაზე. (3—2)

ექიმი

დავით ალექსანდრეს ძე

გედევანიშვილი

იღებს შინაგანი, ნერვების სნეულებით და სწამლობს ელექტრონით საღამოს 5—6 საათამდის.

კიროჩნი ქუჩა, სახლი მარტინოვსკისა, საზაფხულო კრუჟოკის პირდაპირ. (45—13)

ექიმი

ნ. მ. ასპიროვი

თვალის, ცხვირის, ყურის და ყელის სნეულებით ავათმყოფთ მიიღებს შუადღის შემდეგ 1—5 სათ. და საღამოს 7—8 საათამდის.

ღარიბთ უფასოდ.

მიხეილის პროსპექტი, 47.

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

მ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 9—10 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. ქამოევი.—საშარდე (ხირურგიული) ავადმყოფისათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 კვირაობით 9—11.

ა. გ. ბარხუდოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

მ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

პრ. მ. სობოლევსკი—ხირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედ-თა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანათიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში).

ტელეფონი № 274. (წლ.)

ექიმი

ნ. ტ. მულინი

იღებს ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებით ავადმყოფთ. დილით 11—1-დე. საღამოთი 4—6-მდე. სუდებნი ქუჩა, სახლი № 30.

წერილები

სოფლის საჭიროებათა შესახებ

IV

ორიოდე სიტყვა გურიის გლეხობის შესახებ

ამას წინად ერთ-ერთ რუსულ გაზეთის კორესპონდენტი საყურადღებო ცნობებს იტყობინებოდა გურიის გლეხობის ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ. ვსარგებლობთ ამ წერილით, რათა ცოტათი მაინც გავითვალისწინოთ, რა ყოფაშია დღეს გურული სოფელი და რა ესაჭიროება იქაურ გლეხს.

მიუხედავად მდიდარის ბუნებისა, ოზურგეთის მაზრის გლეხთა უმრავლესობა საშინელ გაჭირვებას ითმენს. ამის უმთავრესი მიზეზია—ადგილ-მამულის სიმცირე. მიწა-წყლის უმეტესი ნაწილი—სამი მეოთხედი მაინც—დიდ და მცირე თავად-აზნაურთა საკუთრებას შეადგენს. ამიტომ იშვიათად მოიძებნება გლეხი, რომელსაც საკმაო მამული ჰქონდეს, როგორც თავისი საკუთრება; $1^1/_2$-2 დესეტინა გლეხის მიწათ-მფლობელობის maximum'-ი არის, ხოლო ასეთი მცირე მამული, რაც უნდა ნოყიერი იყოს მიწა, რასაკვირველია, გლეხს ვერ არჩენს.

ამიტომაა რომ გურიიდან მრავალი გლეხი გარბის ქალაქებში, სადაც დღიურად ლუკმა პურს შოულობს. ამ გარემოებამ გურული გლეხი უფრო მალე გამოაფხიზლა, ვიდრე ჩვენის ქვეყნის სხვა გლეხები; ის უფრო ადრე გაეცნო ახალ დროის კულტურასა და მოთხოვნილებათ და უფრო მალე შეიგნო ახალ კულტურის სარგებლობა. სწორედ ამან გამოიწვია გურულ სოფლის შესამჩნევი წინსვლა: სკოლების დაარსება, ბიბლიოთეკების გახსნა, სხვა-და-სხვა ამხანაგობათა შედგენა და სხვა. ოზურგეთის მაზრა ამ მხრით, როგორც ვიცით, მაღლა სდგას საქართველოს დანარჩენ ნაწილებზე.

მაგრამ ამ კულტურულმა წინსვლამ ვერ შეაჩერა სასოფლო-მეურნეობის დაცემა.

როგორც ზევითაც ვთქვით, ადგილ-მამულის უმეტესი ნაწილი თავად აზნაურობას ეკუთვნის. გლეხი იძულებულია მემამულეთაგან აიღოს იჯარით მიწა, თუ არ უნდა რომ შიმშილით მოჰკვდეს. ამიტომ გაზაფხულზე იწყება საბრალო გლეხის ჭაპანწყვეტა და ერთ მებატონის მოურავისაგან მეორეს მოურავთან სიარული, ხვეწნა მუდარა. გლეხი თხოულობს მიწის იჯარით აღებას ერთის წლის ვადით, რადგან უფრო გრძელის ვადის იჯარა აქ არ იციან...

მოურავი, როგორც იცით, დიდი ვინმეა სოფელში: მისგან არის დამოკიდებული გლეხის ავ-ბედი—უნდა აცოცხლებს, უნდა შიმშილით მოჰკლავს. ამიტომ მოურავები კარგად სარგებლობენ თავის მდგომარეობით. პირველად ყოვლისა ის აძლევს გლეხს იჯარით მამულს იმ პირობით, რომ გლეხმა მოსავლის მესამედი მისცეს; მესამედი იანგარიშება კარგ მოსავლიან წლის მიხედვით; მაგალითად ვთქვათ, 1900 წელს კარგი მოსავალი იყო სიმინდისა, ასე ქცევაზე 200 ფუთი სიმინდი მოვიდა. მოურავი ამ მოსავლის კვალობაზე ანგარიშობს და მოიჯარადრე გლეხს ახდევინებს მესამედს, თუ გინდ გლეხს ერთი ფუთი სიმინდიც არ შემოუვიდეს. სოფ. სუფსაში, მაგალითად, შარშან ერთ გლეხს მებატონის მამულიდან შემოუვიდა სულ 20 ფუთი სიმინდი, მოურავმა-კი მოსთხოვა 200 ფუთის მესამედი, ესე იგი 60 ფუთზე მეტი!..

მაგრამ უბედურება კიდევ ეს არ არის. გლეხი იძულებულია არა მარტო ფიქტიურ მოსავლის მესამედი აძლიოს, არამედ კიდევ თავის ურმით მიუტანოს მემამულეს სახლში ეს მესამედი, თუ გინდ 20—30 ვერსის მანძილზე. გარდა ამისა, თვით იჯარის მიღებისათვის გლეხმა უნდა დაახარჯოს მოურავს არა ნაკლებ 5 ან 10 მანათისა, წინააღმდეგ შემთხვევაში მოურავი თავის მოწყალების თვალს მოაშორესს საბრალო მოიჯარადრეს. ეს კიდევ ცოტაა. გლეხს საქონლისათვის საძოვარი ადგილი ვერ უპოვნია. ამიტომ ხშირად მოხდება ხოლმე, რომ მოურავს უნდა მისცეს სწორედ იმის ნახევარი, რაც საქონელი ღირს, თუ უნდა რომ საქონელი შიმშილისაგან არ დაეხოცოს. ხოლო თუ გლეხმა მოურავი გააჯავრა, მისი საქონელი სრულიად გამოუკვებავი დარჩება. თუ გლეხის საქონელი მემამულეს ადგილში მოჰყვა რამე ნაირად, საქონელს იჭერენ და გლეხს არ უბრუნებენ, სანამ იმდენს არ გადიხდის, რამდენსაც მებატონე ან მისი მოურავი მოისურვებენ. ხანდახან ისიც მოხდება, რომ მოურავი ართმევს გლეხს უკვე გაცემულს მამულს და სხვას აძლევს.

გლეხებს აწევთ კისერზე ამასთანავე უძნელესი ბეგარა: გზების გაყვანა და შეკეთება. უბედურება ის არის, რომ საერობო თანხა, რომელიც გზების გასაყვანად გროვდება, სხვა საჭიროებათ ხმარდება. ამ რიგად გლეხობა მარტოდ-მარტო ეწევა გზების გაკეთების დიდ საქმეს, ხაზინისა და სხვა წოდებათა დაუხმარებლად, მიუხედავად იმისა, რომ გზებით ისინიც სარგებლობენ, შეიძლება უფრო მეტადაც, ვიდრე გლეხობა.

ამნაირად დღეს-დღეობით გურული გლეხი, გარდა სხვა გაჭირვებათა, შევიწროებულია ადგილ-მამულის სივიწროვით, იჯარის პირობათა მოუწესრიგებლობით და გზის საშინელ ბეგარით.

საზღვარ-გარედ

ავსტრ-უნგრეთი. უნგრეთში, ქალ. კლაუზენბურგში ამ დღეებში უნგრეთის მეფეს მათე კორვინს ძეგლი უკურთხეს. ამ ამბავს დაესწრნენ ერც-ჰერცოგი იოსებ-ავგუსტი, მთავრობისა და პარლამენტის ორსავ პალატის წარმომადგენლები და მრავალ ქალაქის და ოლქის დეპუტაციები. უნგრეთის დამოუკიდებლობის პარტიამ ამ შემთხვევით ისარგებლა და აქაც ცუდი დღე დაუყენა პირველ მინისტრს სელს. მოვიდა თუ არა სელი, ოპოზიციის წარმომადგენლებმა ყვირილი დაიწყოს: „დაიკარგოს!“. გრაფ აპონის კი სალამს აძლევდნენ და აღტაცებით უყვიროდნენ: „გაუმარჯოს“! მაგრამ ნამდვილი დემონსტრაცია საღამოთი დაიწყო, როცა ერც-ჰერცოგიც მოვიდა. სამხედრო მუსიკამ სადგურზე ოფიციალური ჰიმნი დაუკრა, მაგრამ ათი ათასმა კაცმა უნგრეთის ჰიმნი და „კოშუტის სიმღერა“ შემოსძახა და სამხედრო მუსიკა მთლად გააყრუვა. ერც-ჰერცოგს ყველგან გაჩირაღდნებულ ქუჩებში სულ ამ სიმღერით ეგებებოდნენ. ხალხის დასაწყნარებლად სამხედრო ორკესტრმაც უნგრეთის ეროვნული სიმღერები დაუკრა, მაგრამ ხალხმა მაინც აქეთ-იქით გაჰფანტა ორკესტრი. შემდეგ დემონსტრაცია სელის სადგომს წინ გამართეს; დიდ-ძალი პოლიცია და ჟანდარმები ძლიერ ეცადნენ ხალხის გაფანტვას, მაგრამ ვერას გახდნენ.

ძეგლის კურთხევის დროს ხალხის შიშით მთავრობამ ჯარიცა და სამხედრო ორკესტრიც დაითხოვა. როცა ერც-ჰერცოგი ფრანც-ფერდინანდი კურთხევის დასასწრებლად მოვიდა, ხალხი გერმანულ ჰიმნის მაგიერ, უნგრეთის ჰიმნით მიეგება. თითონ ძეგლის კურთხევის დროს წესიერება არ დარღვეულა, მაგრამ საღამოთი იმ დღესვე, როცა ერც-ჰერცოგი და სელი სადგურზე წავიდნენ, ხალხმა ისევ ისეთი დემონსტრაცია მოახდინა, როგორც წინა დღით, ამათ მოსვლის დროს. როცა სადგურზე სამხედრო ორკესტრმა ავსტრიული ჰიმნი დაუკრა, მრავალმა ხალხმა ისევ უნგრეთის ჰიმნი და კოშუტის სიმღერა შემოსძახა. დემონსტრაცია მით უფრო ძლიერი გამოვიდა, რომ ღამის მატარებელმა ნახევარ საათი დაი-

გვიანა და მატარებლის მოსვლამდე ხალხს სიმღერა არ შეუწყვეტია. ხალხი შუაღამემდე აღელვებული იყო და არც დაშლილა.

საფრანგეთი. რადიკალების კონგრესმა ლიონში დაასრულა თავისი სხდომები. კონგრესმა რადიკალურ პარტიის პროგრამა დაამტკიცა. ეს პროგრამა თხოულობს: ეკლესია სახელმწიფოსაგან განცალკევდეს; ფალუს კანონი სწავლების თავისუფლებაზე გაუქმდეს; კაპიტალსა და შემოსავალზე პროგრესიული გადასახადი დაწესდეს; წვრილ და საშუალო მემამულეებს გადასახადების ტვირთი შეუმსუბუქდეს; სამხედრო სამსახურის ვადად ორი წელიწადი დაიდოს;—ეს რეფორმა დეპუტატთა პალატამ ხომ მოიწონა კიდეც.—მერე პროგრამა თხოულობს: მოსამართლენი იცვლებოდნენ, რომ სასამართლოები რეაქციონერებისაგან გაიწმინდოს, და სამხედრო სასამართლოები მოისპოს.

შემდეგი კონგრესი 1903 წელს ქალ. მარსელში შეიკრიბება.

◆ წარსულ კვირას ცეზულაში რესპუბლიკელებმა ნადიმი გამართეს; ნადიმის დროს იუსტიციის მინისტრს ვალეს ულაპარაკნია. სამინისტროს პროგრამის თაობაზე ვალეს უთქვამს:

„თუმცა ჩვენი მოწინააღმდეგენი პროტესტს გვიცხადებენ, მაინც ჩვენს პროგრამას არ ვუღალატებთ და ბოლომდე ავასრულებთ. ჩვენი პროგრამა კიდევ აი რა არის: სამხედრო სამსახურის ვადის შემცირება ორ წლამდე, საზოგადო შემოსავლის გადასახადი და მუშებისთვის პენსიების პროექტის შედგენა“.

ინგლისი. გაზეთებში ლორდ როზბერის ორი წერილი დაიბეჭდა. ამ ბოლოს დროს ლიბერალები ცდილობენ მთელი თავიანთი დასი შეაერთონ და ყველამ საერთოდ ბრძოლა დაუწყონ კონსერვატორებს. ამ წერილებიდან სჩანს, როზბერი ისევ წინანდებურად სხვანაირის თვალით უცქერის ლიბერალურ პარტიის მოქმედებას და კერძოდ იმის წინამძღოლის კემპბელ-ბანერმანის ტაქტიკას.

ამას წინად როზბერის ედინბურში კრებაზე ულაპარაკნია. სხვათა შორის, ამ კრებაზე ლიბერალი დეპუტატი ბლეკიც მიუწვევიათ. ბლეკს წერილი მიუწერია როზბერისათვის და უკითხავს: „ადრე გამოაცხადეთ, ქვედა პალატის ლიბერალურ პარტიის წინამძღოლ კემპბელ-ბანერმანთან ყოველ კავშირსა ვწყვეტავო. ეს სიტყვები მარტო სამხრეთ-აფრიკის თაობაზე იყო ნათქვამი, თუ თქვენსა და კემპბელ-ბანერმანს შუა ისეთი დიდი უთანხმოებაა, რომ ეხლა, ომის დასრულების შემდეგაც, არ შეგიძლიანთ ლიბერალების წინამძღოლთან საერთოდ იმოქმედოთ?“.

ლორდ როზბერიმ უპასუხა 25 სექტემბერს წერილით და გამოუცხადა ბლეკს: „წინანდებურად იმ აზრს ვადგევარ, რა აზრიც ჩესტერფილდში გამოვსთქვი (ჩესტერფილდში როზბერიმ ლიბერალურ პროგრამის შეცვლა ითხოვა). ბ-ნმა ჰენრიმ (ბანერმანმა) ჩემი პოლიტიკა დაჰგმო. განა ბ-ნმა ჰენრიმ შეიცვალა აზრი? თუ შეიცვალა, მაშინ მეც სხვანაირად მოვიქცევი; თუ არა და მეც წინანდებურს გზას დავადგები ისევ. თუ ლიბერალური დასი ჩესტერფილდის პროგრამას მიიღებს, ჩემს ადგილს დიდის ხალისით დავუთმობ სხვებს. მაგრამ სანამ ის, რაც ჭეშმარიტ პოლიტიკად მიმაჩნია, დაგმობილი იქმნება, მეც ისევ ჩემს ადგილას დავრჩები“.

მეორე წერილში როზბერიმ ზოგიერთ კითხვაზე უარი შეუთვალა ბლეკსა და პასუხი არ მისცა.

როზბერის წერილებმა ძლიერ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინეს ლიბერალებზე. ლიბერალების უმთავრესი გაზეთი „დეილი ნიუს“-ი სწერს:

„ლორდ როზბერის განცხადებას დიდი მნიშვნელობა აქვს ლიბერალურ დასის მერმისისათვის. ლიბერალურ დასს ბევრის რისამე დათმობა ჰსურდა კეთილშობილ ლორდისათვის. ეხლა სჩანს, ყველაფერი ამაო ყოფილა. ეხლა ყველაფერი გამოცხადდა. ლორდ როზბერის გადაწყვეტილი აქვს, ლიბე-ალურ დასის უმეტესობასთან კავშირი მთლად შესწყვიტოს. ძლიერ ვნანობთ, მაგრამ არც თუ მაგრე შევწუხდებით. ლიბერალური დასი წინამძღოლის დაკარგვას მაგდენად არ შეიმჩნევს, მაგრამ პრინციპების დაკარგვა კი სამუდამოდ დაჰღუპავს პარტიას. ლიბერალური დასი არც თავის პრინციპებს და არც არჩეულ წინამძღოლს ბ-ნს ჰენრი კემპბელ-ბანერმანს არას დროს არ უღალატებს“.

შეერთებული შტატები. ნიუ-იორკის გაზეთ „ტრიბუნე“-ს სწერენ ვაშინგტონიდან: რუზველტმა გადაჭრით გადასწყვიტა, კონგრესის მომავალ სესიის დროს წინადადებას შევიტან და მოვითხოვ, საზღვარ-გარეთიდან შემოტანილ ქვა-ნახშირზე მთლად გაუქმდეს ბაჟიო. ქვა-ნახშირიან ოლქების დეპუტატები და სენატორები, რასაკვირველია, წინააღმდეგობას გაუწევენ ამ წინადადებას, მაგრამ უმეტესობას, ნამეტნავად ახალ ინგლისის შტატების წარმომადგენლებს, ძლიერ მოეწონებათ, თუ ქვა-ნახშირის ბაჟი მოისპო, ახალ ინგლისის შტატები ახალ შოტლანდიაში იყიდიან ქვა-ნახშირს და უფრო იაფადაც იყიდიან, სანამ შეერთებულ შტატებში.

ვაშინგტონში პრეზიდენტის სასახლეში ქვა-ნახშირი მარტო ნოემბრის დამდეგამდე ეყოფათ. ქვა-ნახშირის მაგიერ ნავთს ჰყიდულობენ. სამხედრო ფლოტსაც კი ლამის დააკლდეს ქვა-ნახშირი; სამხედრო სამინისტროში ჰფიქრობენ, ზამთარში ფლოტის ალლუმს ველარ მოვახდენთო. ნიუ-იორკში ღარიბი ხალხი მდინარე ჰარლემში იჭერს შეშას. ქალაქ გარეთ დაყრილ ნაცრის ქუჩებსაც ჰქექენ და იქ ცოტაოდენ ქვა-ნახშირს ჰპოულობენ.

◆

ახალი ამბავი

◆ ამ ორის დღის წინად „ქ. შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობამ უკვე მიიღო უგან. თავ. გრიგოლ ლევანის ძის **დადიანის მიერ დატოვებული ანდერძი**, რომლითაც განსვენებულმა საზოგადოებას 4500 მანეთი დაუტოვა. ეს ფული ხელუხლებლად უნდა ინახებოდეს რომელსამე საკრედიტო დაწესებულებაში. ანდერძის თანახმად, 1500 მანეთის სარგებელი უნდა ეძლეოდეს სენაკის სათავად-აზნაურო სკოლის შეუძლებელ მოსწავლეებს, დანარჩენ 3000 მანეთის შესახებ ანდერძის შინაარსი აქვე მოგვყავს:

„§ 1) სამარადისო პრემიას შეადგენს სარგებელი სამი ათასი მანეთისა, რომელსაც მე ვსწირავ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ იმ პირობით, რომ ეს ფული დარჩეს საუკუნოდ ხელ-უხლებლად და ინახებოდეს ან სახელმწიფო ბანკში ან რომელთამე სარგებლიანთ სახელმწიფოსგანვე უზრუნველ-ყოფილ ქაღალდებში. § 2) პრემია მიეცემა სამ წელში ერთხელ იმას, ვინც შეადგენს და წარუდგენს „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამგეობას: ა) საუკეთესო თხზულებას საქართველოს წარსულს ცხოვრებაზე, ბ) საუკეთესო ფილოლოგიურს გამოკვლევას ქართულ ენისას და გ) საუკეთესო თხზულებას წარსულს და თანამედროვე ქართულ მწერლობაზე, როგორც საეკკლესიოზე, ისე სამოქალაქოზე· საზოგადოების გამგეობამ თუ საჭიროდ დაინახოს, დანიშნოს რიგი, როდეს, რა გვარ თხზულებას მიეცეს პრემია. § 3) საკონკურსოდ დაწერილი თხზულება უთუოდ უნდა იყოს შედგენილი ქართულს ენაზე. § 4) პრემია არასოდეს არ გაიყოფა ორად და არ მიეცემა ორს მწერალს. § 5) თუ არც ერთი საკონკურსოდ წარდგენილი თხზულება არ იქნება ცნობილი პრემიის ღირსად, წლის პრემია მიემატება ხელ-უხლებელ თავნ ფულს. § 6) პრემიის მიცემა გამოცხადდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წევრთა საზოგადო კრებაზე. § 7) იმ შემთხვევაში, როდესაც საკონკურსოდ შეტანილ თხზულებათა გარჩევა მოითხოვს დიდს შრომას, საზოგადოების გამგეობა მისცემს მშრომელთ თავნი ფულის სარგებლით შეძენილ მედალს, ან ქეტონს შესაფერის ზედ-წარწერით. § 8) თუ „წერა-კითხვის საზოგადოება“ დაიშალოს, წევრთა კრებამ გადასწყვიტოს, რომელს დაწესებულებას გადაეცეს შეწირულება იმ პირობით, რომ მიზანი შეწირულებისა დარჩეს შეუცვლელად.

უგანათლებულესი თავადი მთავრის ლევან დადიანის ძე გრიგოლი.“

საზოგადოების გამგეობამ, განიხილა რა ეს ანდერძი, დაადგინა ახლოს მომავალში გადასწყვიტოს ის ვადა, რომლისთვისაც მსურველთ თხზულებანი უნდა წარადგინონ საპრემიოდ.

◆ **მიწათ-მოქმედების სამინისტროს** **დაუვალებია** თავისს რწმუნებულისათვის კავკასიაში, შეიმუშაოს იმის პროექტი, რომ საქარის სანერგე მევენახეობისა და მეღვინეობის სადგურად გადაკეთდეს.

◆ ჩვენ გადმოგვცეს, რომ **საქარის სანერგის გამგე** აგრონომი სტაროსელსკი საზღვარ-გარედ იგზავნება, რომ იქაურ გლეხთა მევენახეობა შეისწავლოს.

◆ **საქარის სანერგის** შესანახად და კავკასიის სხვა გუბერნიებში ამ სანერგედან გატანილის ნერგებით საცდელ ადგილებზე დახარჯულა სულ წარსულ წელს 34 ათასი მანეთი, შემოსავალი კი ჰქონია სანერგეს 35 ათასი მანეთი.

◆ გუშინ, 8 ოქტომბერს, ნაშუადღევის 1 საათზე, **გზათა მინისტრმა** დაათვალიერა ტფილისის რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებელი. მინისტრს დაჰხვდნენ სასწავლებლის უფროსი, ინსპექტორი და სკოლის მასწავლებელ-აღმზრდელნი. მინისტრმა დაათვალიერა სკოლა. სკოლიდან წასვლის დროს მინისტრს გადასცეს პროექტი სატეხნიკო სასწავლებლის გაფართოვებისა. თავ. ხილკოვი გუშინვე, ღამის 11 საათზე, წავიდა მცხეთას ტფილისიდან საქართველოს სამხედრო გზით რუსეთში. გზად მინისტრი დაათვალიერებს დევდორაკის ყინულს.

◆ ტფილისის **გუბერნატორს** **მოუთხოვია** ქალაქის მოურავის მოადგილისათვის მთელი წარმოება ახალ ხმოსანთა არჩევნების შესახებ და აგრეთვე თვითონ ნამდვილი ვექილობები იმ ამრჩეველთა, რომელნიც სხვის მაგიერ იყვნენ წარმომადგენლებად.

◆ გუშინ ქალაქის მოურავის მოადგილემ შესტაკოვმა **წარუდგინა გუბერნატორს დასამტკიცებლად** სია 6 ოქტომბერს არჩეულ ხმოსნებისა.

◆ **გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი**, ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე, რომელიც დღემდის ავად იყო, ეხლა, როგორც გვატყობინებენ, კარგად არის.

◆ **ფოთიდან გვწერენ:** ორშაბათს, 7 ოქტომბერს აკურთხეს ფოთის სახელოსნო სასწავლებელი. კურთხევას, სხვათა შორის, დაესწრო ქალაქის მოურავი და ადგილობრივ დაწესებულებათა წარმომადგენელნი. კურთხევის შემდეგ საქალაქო სასწავლებლის ინსპექტორმა დ. კონონოვმა სიტყვა წარმოსთქვა. სახელოსნო სასწავლებლის შენობის გეგმა უკვე მზად არის და ფოთელებს მალე ახალი მშვენიერი შენობა ექნებათ გამოჭიმული.

◆ **ფოთის საკათედრო ტაძრის მღვდლად**, განსვენებულ დეკანოზის მაჭარაშვილის ადგილზე, დანიშნულ იქმნა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი, სასულიერო აკადემიაში სწავლა-დამთავრებული ნ. თალაკვაძე.

◆ **გაზეთიდან გვწერენ:** ამ ბოლოს დროს ორჯელ იძრა მიწა: ერთი 21 სექტემბერს, მეორე 4 ოქტომბერს. მეორედ ძლიერ იძრა მიწა და ბევრგან სახლის კედლები დახეთქა. ხალხი შიშისაგან გარედ გამოცვივდა.

◆ მთავრობას, როგორც „ნოვოე ვრემია“ გადმოგვცემს, საბოლოოდ გადაუწყვეტია, **განქორწინების საქმე** სასულიერო უწყებას ჩამოართვას და საერო სასამართლოს გადასცეს.

◆ ტფილისში ჩამოვა ბ-ნი ინოსტრანცევი, რომელმაც პეტერბურგში არსებულ ალექსანდრე III-ის მუზეუმისთვის უნდა შეჰ-

ფელეტონი

განათლებულთა უმეცრება

(წერილი ლონდონიდან)

ლონდონის ჩრდილოეთ უბანში, ბაღებსა და ყვავილებს შორის, კაცის თვალს იზიდავს ლამაზი და კოხტა სახლები. შუაში ამართულია ინგლისურ გემოზე აგებული მშვენიერი ეკკლესია. აი ესაა მრევლი პასტორად ნამყოფის პიგოტისა, რომელმაც თავისი თავი მაცხოვრად გამოაცხადა და მოისურვა ცოდვაში მყოფ კაცობრიობის ცხონება.

ათის წლის წინად ახალგაზდა და განათლებული პასტორი პიგოტი, გულწრფელად მოსურნე სიკეთისა მეზობლისათვის, მეტად მხნე და მომქმედი კაცი იყო: ასწავლიდა ბავშვებს, შველოდა ღარიბებს, კეთილ საქმეს სთესდა უზარმაზარ ლონდონის ღატაკთა შორის, სიხარულის სხივს ჰფენდა იმ ადგილებს, სადაც ფეხს ვერ იკიდებდა ვერც სინათლე, ვერც მეცნიერება და ვერც ცივილიზაცია. მაგრამ ყველა ეს მოსწყინდა. ძნელი გამოსაცნობია, რამ გაიტაცა პასტორი—ბნელით მოცულ ბრბოთა განახლების ოცნებამ თუ თავმოყვარეობამა და ეგოიზმმა; ეს კია პიგოტი საიდუმლოდ ეუბნებოდა ფიცით, რომ მესსიის მოსვლა მოახლოვდა, რომ იგი უკვე ჩვენ შორის არისო. როდესაც ამ გვარ სიტყვებით გონებას უბნევდა მსმენელთ, პირდაპირ აცხადებდა, რომ მესსია მე ვარ, მე უნდა მოვახდინო სასწაულები, უნდა ვაცხონო კაცობრიობა და განვაახლო ქვეყანა: ვინც მირწმუნებს ცხონდებაო...

სარწმუნოების ნიადაგზე აღმოცენებული მანია განდიდებისა ახალი ამბავი არ არის. სულით ავადმყოფთა სამკურნალოები სავსეა უბედურებით, რომელთაც თავიანთი თავი მესსია ან სავანაროლლა ჰგონიათ. მკითხველს შეიძლება გაუგონია კიდეც შემდეგი ამბავი. სამკურნალოში ერთი სულით ავადმყოფი უმტკიცებდა დასათვალიერებლად მისულ კაცს, რომ ნამდვილი მაცხოვარი, პილატეს კაცების მიერ დატყვევებული, მე ვარო. როდესაც ეს ავადმყოფი განშორდა, მეორემ სთქვა: იმ ტუტუცს თავისი თავი ძე ღვთისად წარმოუდგენია და ის-კი არ იცის, რომ ასეთ სულელს ჩემ შვილად არ გამოვგზავნიდი დედამიწაზეო.

არ გამოჩნდა ისეთი კაცი, რომელსაც პიგოტზედაც ესევე ეთქვა. პირიქით, პიგოტმა ბევრი მიმდევარი იშოვნა როგორც უვიცთა და ღარიბ-ღატაკთა, ისე მდიდართა და იმათ შორის, ვისაც თავი განათლებულად მოაქვს... დიაღ, შეძლებულთა და განათლებულთ მოუწყეს პიგოტს ეკკლესია, მისცეს დიდ-ძალი ფული, გაუთქვეს სახელი...

დავათვალიერე ეს ქვით-კირის კოხტა სახლები, მშვენიერი ყვავილ-ბაღები და გაოცებული დავრჩი. გამაოცა იმ უთვალავმა სიმდიდრემ, რომელიც ოინბაზობითა და გაიძვერაობით შეუკრებიათ. როგორ მოხდა ყველა ეს აქ, ლონდონში, სადაც საშუალო კლასი განათლებას მოკლებული არ არის? გამიგონია და წამიკითხნია წინასწარმეტყველთა და მესსიათა შესახებ, რომელნიც მრავლად ჩნდებიან სამხრეთ იტალიის ღარიბ და უვიც გლეხების შორის. მომაგონდა ლაზარეტტიც, რომელიც იტალიელმა პოლიციელებმა მოჰკლეს, როდესაც ეს ახალი მესსია მშიერ გლეხობას, გატაცებული, ძმობასა და თანასწორობას უქადაგებდა და აქ, დედა-მიწაზე, ზეციერ ნეტარების განხორციელებას ჰპირდებოდა. მომაგონდნენ საცოდავი, ბნელში მყოფი გალიციის ხოჯები (სკოპცები), რომელნიც ამ ოცის წლის წინად გორაკზე შეიკრიბნენ ერთ თავიანთ საბაოთის საქებსადიდებლად; ეს საბაოთი ყველას თვალ წინ ცოცხლად ზეცას უნდა ასულიყო... მომაგონდა სხვა ამგვარი ამბებიც. მაგრამ ყოველივე ეს ბუნების შვილთა, უვიც და გაუნათლებელ ხალხთა შორის მოხდა... აქ-კი, ლონდონში, ასეთ საქმეებს მისდევენ ცილინდრსა და მოდის ტანისამოსში გამოწყობილნი, ფარჩა-აბრეშუმში გახვეული მანდილოსანნი, ისეთი ხალხი, რომელიც ყოველ დღე გაზეთებსა და წიგნებს კითხულობს...

რით აიხსნება ამ გვარი მოვლენა?—შევეკითხე ამას წინად ჩემს მოსაუბრეს ერთ მანდილოსნის პატარა სასტუმრო ოთახში. სტუმართა შორის ახალგაზდა ამერიკელიც იყო, უნივერსიტეტში სწავლა-დამთავრებული. აი ამისი აზრი მაინტერესებდა ყველაზე მეტად. ამერიკა ხომ სექტებით სავსეა: იქ არიან მარმონებიც, თეოსოფებიც, სპირიტებიც და მრავალნი სხვანიც...

—რით აიხსნება განათლებულ კლასთა ქარა-ფშუტობა?—მომიგო ამერიკელმა.—იმითვე, რითაც თქვენის აზრით წერა-კითხვის არ-მცოდნეთა უვიცობა აიხსნება. ეს ვითომ-და განათლებულნი სრულიად მოკლებულნი არიან მეცნიერულ აზროვნობას, ისინი მცირედაც კი არ იცნობენ გარს-შემორტყმულ ბუნების მოვლენათა კანონებს, ორგანიულ და არა-ორგანიულ ბუნების ცხოვრების პროცესებს. დღევანდელი ნახევრად განათლებული ბრბო ისევე უვიცი და არაფრის მცოდნეა ბუნების-მეტყველების საქმეში, როგორც ის გლეხობა სიცილიისა, რომელიც ეხლა თქვენ მოიხსენიეთ.

—ნუ თუ სკოლას გავლენა არა აქვს ბრბოზე? სკოლაში სიარული ხომ სავალდებულოა თქვენსა და ევროპაში?..

—როგორ არა, გავლენა აქვს, დიდი გავლენაც,—მომიგო ამერიკელმა.—ყველაზე ნათლად გამოირკვა ეს ჩვენში, სადაც სახალხო სკოლა ევროპის საშუალო სასწავლებელს უდრის. ჩვენ შტატებში იბეჭდება, მაშასადამე, იკითხება კიდეც, იმდენი წიგნი და

კრიბოს ამიერ-კავკასიაში **საეთნოგრაფიო ნივთები და ცნობები.**

✦ იურისტთა კომისიამ წარუდგინა ტფილისის ქალაქის გამგეობას თვისი მოსაზრება იმის შესახებ, თუ რამდენად კანონიერია ტფილისის **სასწავლებელთა კომიტეტის არსებობა**. ამ მოხსენების განსახილველად 10 ოქტომბრისათვის დანიშნულია შეერთებული, სხდომა გამგეობისა და სასწავლებელთა კომისიისა.

✦ **გუბერნატორმა ქალაქის გამგეობას მიჰმართა**, საგუბერნიო სატუსაღოსა და მეტეხის ციხეს იაფად მისცეს ქალაქმა წყალი ისე, როგორც სხვა საქველ-მოქმედო დაწესებულებებს ეძლევათო. გამგეობამ და საფინანსო კომისიამ შესაძლებლად დაინახეს 8 ვედრა წყალი ერთ კაპეიკად დაუთმოს ქალაქმა ამ დაწესებულებათ.

✦ სახალხო სკოლათა ინსპექტორს უთხოვნია ქალაქის გამგეობისათვის **ფულით დახმარება აღმოუჩინეთ** სომეხ-გრიგორიანთა იმ საეკლესიო-სამრევლო სკოლებს, რომელნიც სამინისტროს ხელში გადავიდა სომეხთა ეკკლესიებისაგანაო. თითო სკოლისათვის ინსპექტორს უთხოვნია ოცდა-ათი თუმანი.

გამგეობას შესაძლებლად დაუნახავს ყველა ექვს სკოლას 70 თუმანი მიეცეს, მაგრამ საფინანსო კომისია არ დასთანხმებია. კომისიის აზრით, ქალაქს ჯერ თავისი პირდაპირი მოვალეობა აძევს და ის უნდა დააკმაყოფილოს და უპირველესად ქალაქის სკოლებს უნდა აღმოუჩინოს შემწეობაო. ამ მიზეზითა და კიდევ იმიტომ, რომ ქალაქს ისედაც უძნელდება, უფულობისა გამო, ხელგაშლილობა, კომისიამ ვერ სცნო შესაძლებლად ინსპექტორის სათხოვარის დაკმაყოფილება.

✦ სახალხო სკოლათა ინსპექტორი **ქალაქის სკოლებში წიგნთ-საცავების გასინჯვას შესდგომია** იმ განზრახვით, რომ აღუკრძალოს ყველა იმ წიგნის შენახვა და ხმარება, რომელიც სამინისტროსაგან მოწონებული არ არის. ზოგ სკოლაში თურმე სამი წილი წიგნთ-საცავისა ასაკრძალავად დაუნახავს ინსპექტორს.

✦ 1899 წლის ხარჯთ-აღრიცხვის ზოგი მუხლი ქალაქის საქმეთა საკრებულოს **თავის დროზე არ შეუწუნარებია** და უარი ეთქვა ქალაქის გამგეობისათვის აღრიცხვის დამტკიცებაზე. ქალაქმა ეს გადაწყვეტილება საკრებულოსი სენატის წინაშე განასაჩივრა და ამ დღეებში ტფილისის გუბერნატორს სენატის უქაზი მოსვლია. სენატი ზოგში არ დასთანხმებია საკრებულოს დადგენილებას და გაუუქმებია იგი.

✦ ვაჭრების კრება უნდა მომხდარიყო 6 ოქტომბერს, თავისს მამასახლისის ბ-ნ დავიდოვის 25 წლის სამსახურის აღსანიშნავად, მაგრამ კრება არ მოხდა, რადგან საკმაო რიცხვი ვაჭრებისა არ გამოცხადდა. მეორე კრება დანიშნულია 20 ოქტომბრისათვის და რამდენიც უნდა მოვიდნენ —კანონიერად ჩაითვლება. ვაჭრების მიერ ამორჩეული კომისია ურჩევს ამ ნაირად აღნიშნოს ბ-ნ დავიდოვის სამსახური: ა) ვაჭართა საზოგადოებამ ქების ფურცელი მისცეს; ბ) გსთხოვოთ გუბერნატორს, ბ-ნ დავიდოვი დასაჩუქრებულ იქმნეს მთავრობისაგან ისე, როგორც ამას თვითონ გუბერნატორი მოისურვებს; გ) გსთხოვოთ ფინანსთა სამინისტროს, ტფილისის საკომერციო სასწავლებელსა და სავაჭრო სკოლაში თითო სტიპენდია დაწესდეს ბ ნ დავიდოვის სახელობაზე და ამისათვის ქალაქის ვაჭრებმა თავის თანხიდან ყოველ წელს ოც-ოცი თუმანი იხადოსო.

✦ “ქ. შ წ. კ. საზოგადოების“ გამგეობამ გადასწყვიტა თონეთის სკოლის მასწავლებლად დანიშნოს დავ. აკლაძე.

✦ პოლიციის პირველ ნაწილში მცხოვრებს ტფილისის მოქალაქე სამსონ სარიბეგოვისათვის 6 ოქტომბერს ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ ჩაუმტვრევიათ სახლის კარების მინები, შეცვივნიან სახლში და ძალით ჯიბიდან 30 მან. ამოუცლიათ. შემდემდეგ გასალები გაუტეხიათ და ყუთიდან 50 მან. მოუტაცნიათ და გაქცეულან. დამნაშავენი უკვე დააპატიმრა პოლიციამ; ესენი არიან ვასილ გამოვი, ბაბაჯან ბატიევი, ანდრია ვეჩორინი, ვლადიმერ ყულოვი, ნიკოლოზ შპაშინი, ივანე ვინოგრადსკი და კონსტანტინე მოროშინი.

✦ ტფილისის მაზრის სოფელ წინ-წყაროს გლეხებს იან კაზლოვს და ზაქარია ეფინიაროვს 1 ოქტომბერს, ღამე, მოუტაცნიათ ამ სოფლისავე მცხოვრების 13 წლის გასათხოვარი ქალი ელისებედ ნარაევი. ეს ამბავი მალე შეუტყვიათ სოფლელებს, დასდევნებიან, კაზლოვი და სეფინიაროვი შეუპყრიათ და პოლიციისათვის წარუდგენიათ.

✦ 23 სექტემბერს სიღნაღიდან ტფილისს ეტლით მოდიოდნენ თურმე სიღნაღის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსი კატაროვი და ვექილი სარქის აკოფოვი. როდესაც მგზავრები სართიჭალას დაშორებულან, შეხვედრიან მეურმეებს. ცოტა რომ გაჰშორებიან, სამი მეურმე გამოსდევნებია მგზავრებს. უკანასკნელთ შეუნიშნავი ეს, უთქვამთ, შეჩერდითო, მაგრამ ისინი მაინც წინ მოიწევდნენ. მაშინ კატაროვს მეეტლესთვის ცხენები გამოუჩქარებინებია, თან წამომდგარა ეტლში და რევოლვერით ხელში დამუქრებია. მეურმეები გაჩერებულან. პოლიციას მეურმეები უკვე შეუპყრია. ისინი ზაქათალის ოლქის სოფელ კავახჩალის მცხოვრები თათრები ყოფილან.

✦ 6 ოქტომბერს ანჩისხატის ეკკლესიის პირდაპირ ევდოკია ბოგატიროვის 16 წლის გასათხოვარი ქალი გადავარდნილა წყალში, შეუნიშნავს ეს სარგის როსტომოვს, გადამხტარა და ქალი გამოუყვანია.

რუსეთის ქრონიკა

✦ კიევში ახლო მომავალში მოლაპარაკება ექმნებათ ხუთის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორებსა და სამრევლო სკოლების ზედამხედველებს. მოლაპარაკებაში მონაწილეობას მიიღებენ საერო განათლების დეპარტამენტის ვიცე-დირექტორი ნ. პ. დებოლსკი და სრულიად რუსეთის სამრევლო სკოლათა ზედამხედველი ვ. ი. შემიაკინი. კრებამ უნდა შეიმუშაოს განსაკუთრებული კანონ-პროექტი, რომელიც სახელმწიფო საბჭოში იქმნება შეტანილი. ამ კანონ-პროექტის ძალით, სოფლის საზოგადოებას, რომელიც ფულს იხდის სკოლის დასაარსებლად, ნება არ ექმნება გადასწყვიტოს, რა ტიპის სასწავლებელი დაარსდეს. ეს საქმე მიენდობა უმაღლეს მთავრობას.

✦ მომავალ წელს ოდესაში მოხდება მეღვინეთა და მევენახეთა კრება. დაიწყება კრება 23 თებერვალს და გასტანს 28 თებერვლამდე.

✦ აზრადა აქვთ რკინის გზის მატარებლებზე დააწესონ ახალი თანამდებობა— მატარებლის უფროსისა.

ტფილისის «მამათა» დარბაზიდან

გუშინ-წინდელი სხდომა ქალაქის გადაძველებულ მამებისა საქალაქო საყასბოებისა და „პენსიონერების“ ბენეფისი იყო.

ქალაქის გამგეობას უკვე დაუხარჯავს ოცი ათასი მანეთი, რომელიც საბჭომ მისცა საყასბოების გამართვისათვის და რადგან საქმის განვითარება და მტკიცე ნიადაგზე დამყარება თხოულობს ახალ საყასბოების გახსნას და ეხლავე საკლავ საქონლის ყიდვას, გამგეობა თხოულობდა 50 ათას მანეთის სესხებს ქუჩების მოკირწვლის თანხიდან. მკითხველს ეცოდინება, რომ საბჭოს ერთ დადგენილების ძალით, ქალაქის საყასბოებისათვის გადადებულია 50 ათასი მანეთი, მაგრამ, რადგან ეს ფული გამგეობას მესამე სესხის ობლიგაციების განაღდებით უნდა ეშოვნა და ეს განაღდება კი ჯერ გვიანობს, ამიტომ თხოულობდა გამგეობა ზემოხსენებულ სესხის ნებართვას.

თითქმის საათ ნახევარი ილაყბეს ხმოსნებმა გამგეობის წინადადების გამო. ბევრი ხმოსანი ისე ლაპარაკობდა, თითქოს ქალაქის საყასბოების საქმე ხელ-ახლად გადასაწყვეტი იყო და თავმჯდომარეც ისე ისმენდა ამ ლაყბობას, თითქო იგი საგანს შეეხებოდა. ხმ. კოჩორიანცი, რომელიც თავის გულკეთილობისა და გულმტკინეულობის გამო წინადაც მხურვალედ ექომაგებოდა „საბრალო“ ყასბებს, გუშინ-წინაც დაუბრუნდა ამ საკითხს და ამტკიცებდა, რომ ქალაქის საყასბოების გახსნის მიზანი ფასების მოწესრიგება იყო და სხვა არაფერიო; ჩვენმა დუქნებმა ეს მოლოდინიც კი არ გაგვიმართლა და ეხლა ახალ დუქნების გახსნას აპირებენ, რომ მთელი ხორცის ბაზარი ხელში ჩაიგდონ და ყასბები სულ მოსპონო; ეს ქალაქის საქმე არ არისო—საქონელი ძნელი შესანახია, ჭირი გაუჩნდება, დაიხოცება და ვიზარალებთო. არ გასჭრა კოჩორიანცის ლამენტაციებმა და ლათაიებმა: საბჭომ საფინანსო კომისიის აზრი მიიღო— მიეცეს ნება გამგეობას 30.000 მანეთი აიღოს სესხად ქუჩების მოკირწვლის თანხიდანო. ქალაქის გამგეობას განზრახვა აქვს ეხლავე გახსნას საყასბოები ვერაზე და ავლაბარში.

ყველაფერი კარგია, რაც კარგად გათავდება. მაგრამ ვისაც სურს ნახოს იდეალური განხორციელება მაძღარ ბურჟუას ტიპისა, რომელიც წარბ-შეუხრელად და გულახდილად იცავს მაძღარის ინტერესებს, თბილისის საბჭოში მივიდეს და კოჩორიანცს ყური დაუგდოს, როცა იგი მჭევრმეტყველობს.

ბევრი, ძალიან ბევრი ილაპარაკეს „პენსიონერებზედაც“. ქალაქის საავადმყოფოს ფერშალს გოტვაძეს სრული ოც-და-ათი წელიწადი უმსახურნია ქალაქისათვის. ეხლა იგი მოხუცებულა და ქალაქს პენსიას სთხოვს. გამგეობისა და საფინანსო კომისიის აზრით, გოტვაძეს უნდა დაენიშნოს პენსიად მისი ეხლანდელი ჯამაგირი—360 მანეთი. ზოგს ასეთი პენსია გენერლის პენსიად ეჩვენა, მაგრამ, რა კი უმრავლესობა სხვა შეხედულობის აღმოჩნდა, ეხლა სხვა მხარეს მიაქციეს ყურადღება: პირადად მას დაენიშნოს ეს პენსია და რაც შეეხება ცოლშვილს, როცა გოტვაძე მოკვდება, მაშინ ითხოვოს და საბჭოც გადაუწყვეტს რასმეო. მადლობა ღმერთს, საბჭომ გამგეობის აზრი მიიღო! ჩვენი მამების ხელში ისიც საკვირველია, რომ გოტვაძე სიცოცხლეში მოესწრო თავის თხოვნის განხილვასა და პენსიის დანიშვნას, თორემ ცოლშვილი როდის ეღირსებოდა?!

საქმის მწარმოებელს გულიევს 900 მ. პენსია უნდა დინიშვნოდა გამგეობის წინადადებით, მაგრამ ეს საქმე გადაიდო, რადგან საბჭომ საჭიროდ დაინახა მთხოვნელის ხელ-ახალი შემოწმება ექიმების მხრივ.

როცა ჯერი ექიმის ტერ-ასატუროვის ქვრივის პენსიასე მიდგა, სულ სხვა სურათი დავინახეთ: ჯერ ერთი ექიმი ფერშალი არ არ არის და მეორე—ექიმის ძმაც იქვე იყო. ლათინური ანდაზაა—მკვდარზე ან კარგი უნდა ითქვას, ან სულ არაფერიო; ხმოსნებმაც ისარგებლეს შემთხვევით და უსაზღვრო ქება-დიდება შეასხეს გარდაცვალებულ ტერ-ასატუროვს. მხოლოდ ერთი პროტესტანტი აღმოჩნდა, არ. ბაბოვი და გამოაცხადა, ისევ სჯობს ქებას თავი დაანებეთ, თორემ შეიძლება სხვას სულ სხვა ფაქტები ჰქონდეს ხელშიო და მიტომ ისევ გამგეობის წინადადება მიიღეთ და პენსიის მომატებას ნუ თხოულობთო. საბჭო დაეთანხმა ბაბოვის აზრს და გადასწყვიტა—დაენიშნოს ტერ-ასატუროვის ქვრივს 400 მანეთი პენსია და 150 შვილის აღსაზრდელად გიმნაზიაშიო.

ამავე სხდომაზე საბჭომ მიიღო გამგეობის მიერ წარმოდგენილი დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვა მომავალ წლისა (ეს დამატებითი შემოსავალ-გასავალი უდრის 19,800 მანეთს) და ბავშვებზე მზრუნველ საზოგადოებას დაუთმო დროებით 400—420 კვ. საჟენი მიწა ბავშვების სათამაშოდ, მაგრამ იმ პირობით კი, რომ თუ ქალაქს დასჭირდება, ეს ადგილი ისევ ქალაქს უნდა დაუბრუნდეს.

ჟურნალ-გაზეთი, რამდენიც მთელს ევროპაში; ყმაწვილი კაცები ჩვენში ადვილად და მსწრაფლად იწყებენ სამრეწველო, საკომერციო და სახელოსნო საქმეებს; საელემენტარო სწავლა-განათლების მეოხებით (თქვენებურად ეს საშუალო სწავლა-განათლებაა) ჩვენ შევჰქმენით უმდიდრესი სახელმწიფო, დიდად კულტურული და განათლებული ერი... დიახ, სკოლას დიდი და ნაყოფიერი გავლენა აქვს...

„მაგრამ ხალხი მაინც უვიცია... სატეხნიკო ცოდნა, იაფ-ფასიან ჟურნალ-გაზეთებისა და ნაწყვეტ-ნაწყვეტ წერილების კითხვა ვერ შესძენს კაცს მეცნიერულ აზროვნობას, გონებრივ და ზნეობრივ სიმტკიცეს, დამოუკიდებელ კრიტიკის უნარს. საკმაოა გადაათვალიეროთ უფრო გავრცელებული გაზეთები, რომ ჩემი აზრი ირწმუნოთ. საფრანგეთში „ლე პტი ჟურნალი“ და იეზუიტთა „ლა კრუა“ მილიონობით იყიდება. მერე, რა საზრდოს აწვდიან მკითხველს ეს გაზეთები? საზარელ მკვლელობათა დაწვრილებით აღწერას, მკვლელთა სურათებს, მკვლელობის ილიუსტრაციებს; ამბებს ცრუ სასწაულების შესახებ და სხვა ამგვარ რამეს. აი მაგალითიც. „ლა კრუა“ დ „პტი ჟურნალი“ ჰბეჭდავენ ლურდის გამოქვაბულში სასწაულებრივ წყლის მომატების შესახებ და ხალხიც იჯერებს ამ ამბავს. თუმცა მეცნიერებით აღჭურვილმა კაცმა, სწავლულმა ინჟინერმა, გამოკვლევის შემდეგ დაამტკიცა, რომ ეს სასწაულებრივი წყალი იეზუიტთა ოინბაზობის ნაყოფია, რომ იგი მილით მომდინარეობს პატივცემულ იეზუიტთა მახლობელ სახლიდან...

„მაგრამ დაუბრუნდეთ ჩვენ აზრს. აქ, ინგლისში, როგორც ამერიკაში, „დეილი მეილ“-ისთანა გაზეთები, ეგრედ წოდებული „ყვითელი პრესსა“, მილიონობით საღდება. იქნება გგონიათ, რომ ეს გაზეთები რაიმე სალიტერატურო, საპოლიტიკო ან საესტეტიო პრინციპებით ხელმძღვანელობენ? სულაც არა. პირ-იქით იმათი წარმატება უპრინციპობის ნაყოფია. ისინი ემსახურებიან დასებს ან ამხანაგობებს, რომელთაგანაც დიდ-ძალ ფულს იღებენ. საზოგადოებას-კი აწვდიან გასართობ ამბებს, რომელთა კითხვის დროსაც თმა ყალხზედა დგება; ჰბეჭდავენ მდიდართა ფუფუნება-განცხრომის აღწერილობებს; ვითომდა ასწავლიან ხალხს, როგორ უნდა გამდიდრება, ფულის მოგება ბირჟასა და დოღებზე; დიდ ადგილს უთმობენ აგრეთვე გაახალგაზრდავების, გალამაზების საშუალებებს; საიდუმლო მოვლენებსა და სპირიტიზმსაც საკმაო გასავალი აქვს ამ გაზეთების ფურცლებზედ...

„ამაოდ დაუწყებთ ძებნას ამ „პოპულიარულ“ ჟურნალ-გაზეთებში ცოცხალ სიტყვას, ბუნების კანონთა ახსნა-განმარტებას, ორგანიულ ცხოვრების მოვლენათა აღწერილობას. ყოველივე ეს მკითხველ საზოგადოებისთვის, ამ გარეგნობით განათლებულ ხალხისთვის, ცხრა კლიტულში დამწყვდეული მზით უნახავია. მეცნიერებათა წარმატება და საევოლიუციო ფილოსოფია დღეს მხოლოდ უმნიშვნელო უმცირესობისათვის არის ხელმისაწვდომი. თუ მხედველობაში მივიღებთ კათოლიკეთა სამღვდელოებას და კათოლიკეთა და ღვთის-მეტყველთა ძლიერ პრესსას, რომელნიც სისტემატიურ ბრძოლას უწევენ მეცნიერებას, ადვილად მივხდებით, მეოცე საუკუნის დასაწყისში ცრუ-მორწმუნეობა და სიბნელე რად მოედო ისეთ კულტურულ სახელმწიფოებს, როგორიც საფრანგეთი, შტატები და ინგლისია“...

ახალგაზდა ამერიკელი გაჩუმდა. ჩვენც, იქ მყოფნი, ერთ ხანად ჩუმად ვისხედით.

— თქვენ მართალი ხართ,—დაიწყო დიასახლისმა:—უმეცარია ის, ერთის შეხედვით, განათლებული ბრბო, რომელიც საქმეს აკეთებს, სამსახურს ეწევა და ცხოვრებაში ბატონობს. ყველაზე მეტად უმეცარნი-კი ქალები არიან, რომელთაც ნამდვილ ცოდნის ნაცვლად ასწავლიან მანერებს, ვითომდა ზრდილობიან ლაპარაკს; ასწავლიან აგრეთვე სტენოგრაფიას, ბუხჰალტერიას, ჭრაკერვას, დიასახლისობას... ყველა ამის წყალობით ქალი, მართალია, ლუკმა პურს იძენს, ცხოვრებას ეწყობა, მაგრამ ნამდვილ ცოდნას მოკლებულია. ყოველთვის მაოცებდა და მაკვირვებდა მაღალ საზოგადოების და ბურჟუაზულ წრის მანდილოსანთა საქციელი. ეს მანდილოსანნი თავებს იმტვრევენ სხვა-და-სხვა მატყუარებისა და გაიძვერებისათვის, რომელნიც ჯანმრთელობისა და სილამაზის „წამლებს“ იგონებენ. ლონდონი სავსეა ასეთის გაიძვერებით. ყველანი კარგად და მდიდრად სცხოვრობენ. დიდ მოდაშია ეხლა მანდილოსანთა შორის სახის ფერის „განახლება“ და ნაოჭების გაქრობა. ამისათვის ათას საშუალებას ხმარობენ, დიდად სატანჯველს. სხვათა შორის სახეზე ისვამენ ერთ გვარ ნივთიერებას (ღირს 2000 მანეთად), რომლისაგანაც კანი სივდება, შემდეგ სქდება და სცვივა. ორი-სამი კვირა „ავადმყოფი“ ბნელ ოთახში უნდა იჯდეს; ხშირად სისხლსაც იწამლავს... ამ სულელებს მცირე ცოდნაც რომ ჰქონდეთ ფიზიოლოგიისა, განა ასეთ ტანჯვას მიაყენებენ თავიანთ თავს? ამ გვარ საქმეებს სჩადიან მდიდარი და ვითომ განათლებული მანდილოსანნი... რაღა თქმა უნდა, ასეთ მანდილოსანთა შორის დიდი გასავალი ექნებათ პიგოტს, დავეის, ლურდის ბერებს და „განსაკუთრებულ კაცებს.“ დამიჯერეთ, „მესიები“ და „წინასწარმეტყველები“ იმ მანდილოსანთა ფულით მდიდრდებიან, რომელნიც „ახალგაზდობის, სილამაზისა და ძალ-ღონის აღდგენას“ დაეძებენ...

ლონდონელი.

(დასასრული იქნება)

წერილი არდანუჩიდან

არდანუჩი და მახლობელი სოფლები

არტვინიდან მიმავალი მგზავრი აღმოსავლეთით გაივლის 31 ვერსს აღმართ-ჩაღმართიან გზას. არდანუჩის ნაწილი იწყება სადგურ დოლიაანისა და ბერთის მდინარიდან, რომელიც აქვე უერთდება არდანუჩის მდინარეს. გზა აქედან მისდევს მდინარის ნაპირას. ტიტველა კლდეები მგზავრს საცოდავათ დაჰყურებს თავზე. არც ფრინველი, არც ნადირი არ ართობს მოწყენილობას. ყველგან სიჩუმეა. აქაური ბუნება უენოა. სწორე ადგილს აქ ვერ დაინახავთ. ნიადაგი ხრიოკია და გორიანი, ამიტომ მცენარეულობაც დანაკლულია. ზაფხულში უზომოდ ცხელა. არც თუ ზამთარია ნელი. რაც შეეხება ადამიანს, მაჰმადიანობას დიდი დაღი დაუსვამს ამ მეტად ფიცხელ ხალხისათვის, დაუჩნებია და მომეტებული გადაუგვარებია. გზიდან შორს მოსჩანან მერცხლის ბუდესავით სოფლები.

გაივლით ესრე წოდებულს „ეშმაკის ღელეს“ (საშინელი სიღრმისაა და გამოქვაბულებია) და თვით არდანუჩსაც დაინახავთ. იგი წარმოადგენს მიუვალს ადგილს. გარს არტყია უზარმაზარი ხეობა და მხოლოდ პატარა ბილიკით შედიხართ შიგ. არდანუჩს უჭირავს ოროლე დესეტინა ადგილი და შეფენილია დაქანებულ ფერდობზე. ზურგით უდევს უშველებელი ციცაბო კლდე, სადაც უწინ, შიშიანობის დროს, გამაგრებულნი ყოფილან მცხოვრებნი; ახლაც მოსჩანან ნანგრევები და მიდი, რომლითაც, თქმულებით, წყალი ამოჰყავდათ მაღლა ციხეში შორიდან. თვით არდანუჩის ნიადაგი მეტად მწირია, ქვიანი. უწინ გარს გადავანი ჰქონია შემოვლებული, გვირაბით ჩიდენიდან წყალზე და საკუთარი ეკლესია ჰქონიათ. ამას ჰმოწმობს ნანგრევები. მცხოვრებს შეადგენს სომეხ-კათოლიკენი, რომელნიც ამ უკანასკნელ ოცის წლის განმავლობაში გადმოსახლებულან აქ ოსმალეთიდან. ამათ გარდა სცხოვრობს სამიოდე კომლი მაჰმადიანი. ყველა ესენი მისდევენ ვაჭრობას. მევახშეობაც აქ იშვიათი არ არის. ქალი და კაცი ბევრს ოსმალურს ჩვეულებებს მისდევენ: აცვიათ ოსმალურად, დედათა სქესი კარ-ჩაკეტილი ჰყავთ და ყველანი ოსმალურად კარგად ლაპარაკობენ. ქართულს იშვიათად გაიგონებთ. აქ არის არდანუჩის ნაწილის მმართველობა, ტელეგრაფის კანტორა, ორი სასწავლებელი—სომხთა და მაჰმადიანთა, ერთი ეკლესია და ერთი მეჩეთი. ყველა ამის მიუხედავათ, არდანუჩი მეტად უწმინდურია, უშნო და გაუნათლებელი. ამას უნდა დავსძინოთ ისიც, რომ დაბა მეტად საშიშ მდგომარეობაშია: მცირეოდენი მიწის-ძვრა საკმარისია, რომ ზურგის კლდე მოსწყდეს და დაიტანოს ქვეშ მთელი მიდამო. ძველად თუ შიშიანობას ამოჰყავდა აქ ადამიანი, ახლა დრონი იცვალნენ და აქ ცხოვრება შეუძლებელია.

არდანუჩს გარს ახვევია 49 სოფელი. მიდამო სოფლებისა ესევე მთა-გორიანია. მათში შესანიშნავია სიდიდით—ტანზოტი, სამსზარი და გურმოშხანა. სოფლებში მოსახლენი მაჰმადიანია, ზოგან სომეხნი არიან. გამაჰმადიანებული ქართველნი აქ მრავლად არიან. მცხოვრებნი მისდევენ ხვნა-თესვას, უფრო მომეტებულად კი თამბაქოს მოყვანას. აქაური თამბაქო ნაქებია.

ისტორიულად შესანიშნავია კლარჯეთი და განირაბათი მშვენიერის ძველის ტაძრით (სომეხთ მიუთვისებიათ). არდანუჩის მომიჯნავე არის შავშეთი, რომელიც მეტად შესანიშნავია ქართველისათვის და რომელზედაც შემდეგ მოგილაპარაკებთ.

ლადო

სასამართლო

საქმე კნ. ანნა ამილახვრისა და ფანიაშვილისა

ამ რამდენისამე დღის წინად ტფილისის პირველ განყოფილების მომრიგებელმა მოსამართლემ განიხილა საქმე ტფილისის მცხოვრების გიორგი მათეს ძის ფანიაშვილისა, რომელიც კნ. ანნა ზაქარიას ასულს ამილახვარს 200 მან. ედავებოდა. ფანიაშვილს მოუსურვებია, ამიერ-კავკასიის რკინის გზაზედ რაიმე ადგილი ეშოვნა. თხოვნებით რომ ვერასფერს გამხდარა, მიუმართავს კნ. ანნა ამილახვრისათვის. კნ. ამილახვარი დათანხმებულა იმ პირობით კი, თუ ფანიაშვილი გასამრჯელოდ 200 მანეთს მისცემდა. ფანიაშვილს უშოვნია 200 მან., მიუტანია ამილახვარისათვის და ჩამოურთმევია ბარათი. ამ ბარათით ამილახვარი ვალდებულად გამხდარა ეშოვნა ფანიაშვილისათვის ადგილი. თუ ვინიცობაა ამილახვარი ამ პირობას ვერ შეასრულებდა, ფანიაშვილისაგან მიღებული 200 მანეთი უკანვე უნდა დაებრუნებინა. ეს პირობის წერილი ამილახვარს მიუცია ფანიაშვილისათვის ამა 1902 წლის 6 თებერვალს; მაგრამ დანაპირი ვერ შეუსრულებია და აღარც მიღებული 200 მან. დაუბრუნებია პირობისამებრ. ამის გამო გიორგი ფანიაშვილს ბარათი მომრიგებელ-მოსამართლისათვის წარუდგენია. მომრიგებელმა-მოსამართლემ, განიხილა რა ეს საქმე, გადასწყვიტა გადახდეს კნ. ანნა ამილახვარს 200 მან. გიორგი ფანიაშვილის სასარგებლოდ. საქმის საწარმოებელი ხარჯიც ამას დაეკისრა.

უცხოეთის წვრილი ამბები

მეფე მწერალი. შვეციის მეფე ოსკარ მე-II მთელს ქვეყნიერობაზე ცნობილია, როგორც პოეტი, ისტორიკოსი და კრიტიკოსი. სხვა-და-სხვა ქვეყნების სამეცნიერო საზოგადოებათა წევრად ირიცხება ეს მწერალი-მეფე. ამერიკელ გაზეთს „ნევ-იორკ-ჰერალდ“-ს შეუტყვია, რომ ოსკარ მე-II ამ მოკლე ხანში თავის „მოგონებათა“ დაბეჭდვასა და გამოცემას აპირებსო.

რა თქმა უნდა, მეფეს ყოველგვარი ორდენი აქვს, მაგრამ ოსკარ მე-II ყველაზე უფრო აფასებს „საფრანგეთის კაცთ-მოყვარეობის საზოგადოების“ მედალს, რომელიც 36 წლის წინად მიუღია, როცა ჯერ კიდევ მემკვიდრედ იყო. ამ ხანებში მემკვიდრე ოსკარი სამხრეთ საფრანგეთში ყოფილა მარსელის ახლოს და ერთხელ ზღვის ნაპირად დასეირნობდა. მოულოდნელად წინ ეტლში შებმული გაგიჟებული ცხენები შემოეფეთა. პრინცი ყოჩაღად გადახტა, ცხენებს წინ დაუხვდა, ერთს მათგანს აღვირში ხელი მაგრად ჩაავლო და ცხენები შეაჩერა, თუმცა რამდენიმე მანძილი ათრიეს-კი პრინცი. ეტლში მჯდომნი ამ გვარად სიკვდილს გადაარჩინა, აი, ამ ყოჩაღობისათვის მიუძღვნა „საფრანგეთის კაცთ-მოყვარეობის საზოგადოებამ“ ოსკარს მედალი.

ოსკარ მე-II დიდი მოყვარულია მეცნიერებისა და ხელოვნებისა. ამ მოკლე ხანში შვეციის სატახტო ქალაქს სტოკჰოლმში ჟურნალისტთა საერთა შორის კრება იყო გამართული და ყველა იქ დამსწრენი ცხადად დარწმუნდნენ, რამდენად თაყვანის მცემელია მეფე ოსკარი ხემონათქვამისა. ყოველს კრებას თვითონაცა და იმის მემკვიდრეც აუცილებლად ესწრებოდნენ და ბოლომდე იქ რჩებოდნენ.

შვეციის ერთმა გამოჩენილმა ჟურნალისტმა თავისს მეფეზე ასე სთქვა: „შვედებმა თუ რესპუბლიკა მოისურვეს, მე დარწმუნებული ვარ, პირველ პრეზიდენტად უთუოდ მეფე ოსკარ მე-II იქმნება ხალხისაგან არჩეული“-ო.

თავისს პოეტურ ნაწერებში ოსკარ მე-II-ს სამშობლო შვეციის სიმშვენიერე აქვს აწერილი. ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი მეფემ მიუძღვნა გამოჩენილს კომპოზიტორს ჰუნოს, რომელსაც განსაკუთრებულ პატივსა სცემდა.

სწავლა-განათლების საქმეც ძალიან უყვარს და მუდამ ათვალიერებს თუ სატახტო ქალაქისას, თუ პროვინციის სკოლებს და არც ატყობინებს ხოლმე წინ-და-წინ თავის განზრახვას და მოულოდნელად შედის ამა თუ იმ სკოლაში. ერთ მაგალითს გადმოგვცემენ გაზეთები: მეფე ოსკარ მე-II მოულოდნელად ქალთა სკოლაში მისულა.

— აბა, თუ დამისახელებთ შვეციის გამოჩენილ მეფეთა სახელებსაო?—შეეკითხა ოსკარ მე-II პატარა ქალსა.

— კარლოს მე-II, მიუგო გოგუნამ.

— ოსკარ მე-II-ო, წამოიძახა მეორემ.

ამ სიტყვაზე მეფეს გაეცინა და პატარა მოსწავლეს შეეკითხა: აბა, დამისახელეთ, რა გამოსაჩენი საქმე მომხდარა ამ მეფის დროსაო.

ბავშვი ჩაფიქრდა, მერე გაწითლდა, აირია: არ ვიცი, რა მომხდარაო, ცრემლებით წარმოსთქვა პატარამ.

მეფემ თავზე ხელი დაუსვა ბავშვსა და ღიმილით უთხრა:

— აბა, რაგატირებს, ჩემო კარკო: მე თვითონ არ ვიცი, რა მოხდა შესანიშნავი ჩემს დროს.

მეფე ოსკარ მე-II ძლიერ მაღალი ტანისაა, თითქმის ერთი საჟენისაა (6 ფუტზე მეტი), მეტად ჯანსაღი და ახალგაზდობაში ღონიერ კაცად ითვლებოდა. ძლიერ უყვარს ნადირობა და ყოველ-გვარი სპორტი. ამ ჟამად სამოცდა-ათის წლისა მეტია, მაგრამ ეხლაც თავისუფლად ადის მაღალ მთებზე და ყველას სჯობნის თანამგზავრებში.

სამშობლო ენის გარდა, კარგად იცის ფრანგული, ინგლისური, გერმანული და იტალიური ენები.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

7 ოქტომბერი

რიაზანი. სპასკის ერობა შუამდგომლობს სოფლის საზოგადოებათ დაუბრუნდეს ის დანაკარგი, რომელიც მაგარ სასმელებით ვაჭრობის მონოპოლიამ მისცა, და ეს ფული სწავლა-განათლების საქმეს მოხმარდესო.

სოფია. მაკედონელთა მიტინგზე ილაპარაკა მიხაილოვსკიმ, რომელმაც წინააღმდეგობა გამოაცხადა მაკედონელ ქრისტიანებზე ოსმალთა ბატონობის შესახებ. მიტინგმა დაადგინა—ბოლგარიამ და ევროპიელ სახელმწიფოთ მფარველობა უნდა გამოუჩინონ მაკედონიასაო.

— მეფე-განმათავისუფლებლის სახელობაზე ძეგლი მომავალ წლის 30 აგვისტოს გაიხსნება.

ბელგრადი. სამინისტროს შეადგენენ: მინისტრ-პრეზიდენტი და საზოგადო საქმეთა ველიმიროვიჩი, გარეშე საქმეთა—ანტონიჩი, შინაგან საქმეთა—თოდოროვიჩი, ფინანსთა—მილოჩრადოვაკოვიჩ, იუსტიციისა—ნიმჩიჩ, სახალხო მეურნეობისა—ნიკოლიჩ, სამხედრო მინისტრად—მილან პავლოვიჩი და სახალხო განათლებისა—მარკოვიჩი.

ვენა. სალონიკიდან იტყობინებიან, რომ აჯანყებულთა მეთაური იანქოვი ბულგარელებს დაუჭერიათ.

8 ოქტომბერი

ლონდონი. დეპუტატთა პალატაში კრანბორნმა სომალის მხრის ამბების შესახებ სთქვა, რომ პოლკოვნიკ სვაინის რაზმის გასაძლიერებლად გაგზავნილ იქმნება ინდოელთა ბატალიონი, ხოლო აფრიკის მკვიდრთა ბატალიონი დათხოვნილ იქმნება. თუ საჭირო იქმნა, კიდევ გაიგზავნება მიმშველი რაზმი.

სტოკჰოლმი. შვეციისა და ნორვეგიის საზღვაო უწყების წარმომადგენლად ბერლინსა და პეტერბურგში დაინიშნა კაპიტანი გრაკი.

კონსტანცა. 6 ოქტომბერს გაიხსნა დუნაის არხი ტულჩისა და სულინის შუა; არხის გახსნას დაესწრო რუმინიის ტახტის მემკვიდრე მეუღლითურთ.

იერუსალიმი. პალესტინის ნაპირზე დაწესდა ათი დღის კარანტინი, აგრეთვე იაფფაში იერუსალიმიდან მომსვლელთათვის. იერუსალიმსა და იაფფას შუა რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა შესწყდა. ფოსტა ეტლებით მიაქვთ.

ადესა. დიდმა მთავარმა კონსტანტინე კონსტანტინეს ძემ დაათვალიერა იუნკერთა სასწავლებელი, ბეჭდვითი საქმის დაუძლურებულ მუშაკთა თავშესაფარი და ჩრდილოეთისაკენ გაემგზავრა.

სოფია. საერო კრება მოწვეულია 15 ოქტომბრისათვის.

6 ოქტომბერს სოფიასა, ფილიპოპოლსა, სლივნას, რაზგრადსა და სხვა ქალაქებში მრავალრიცხოვანი მიტინგები მოხდა. ხალხი ყველგან იწვევს მთავრობას ენერგიულად მოითხოვოს ბერლინის ხელ შეკრულობის მე-23-ე მუხლის ასრულება.

ბერლინი. კონსტანტინეპოლიდან იტყობინებიან, რომ სერესის ოლქში მოჰკლეს ორი მოხელე „დეტ პუბლიკ“-ისა.

ლონდონი. ალჟირისა და მაროკოს საზღვრის შესახებ დავა დასრულდა. საფრანგეთს დარჩა წინადვე შეძენილი ოლქი.

ლონდონი. სვაინი 23 სექტემბერს ორჯელ შეებრძოლა მოლას ჯარებს; მულრის ახლო მოლა დამარცხდა. ინგლისელთ მოუკლეს და დაუჭრეს 4 აფიცერი და 150 ჯარის კაცი. სვაინი დაბრუნდა ბოიტას და მიმშველ ჯარებს ელის. მოლას უკვე მიუვიდა მიმშველი ჯარი.

სოფია. ახლად მოსული ცნობები ამტკიცებენ, რომ ამბოხებაში ხალხის მონაწილეობა ძლიერდება. ლეშკოსა, ლოკოდასხსა და ჯუმაისკოიკასში მეამბოხეებმა დაამარცხეს ოსმალთა ჯარები. მეამბოხენი მტკიცედ დგანან მდინარე სტრუმის ორსავე ნაპირას. აქაური გაზეთები ბეჭდავენ გრძელ სიებს, რომლებშიაც აღნიშნულია სადა და სად მოხდა ბრძოლა. გენერალ ცონჩევის, პოლკოვნიკ იანკოვისა და პოდპოლკოვნიკ ნიკოლოვის გარდა, ამბოხებაში მონაწილეობას იღებენ მაკედონელი აფიცრები და 15 უნტერ-აფიცერი.

პეტერბურგი. პირველი დრაგომანი რუსეთის საელჩოსა კონსტანტინეპოლში მაქსიმოვი დაინიშნა სადიპლომატო წარმომადგენლად ეგვიპტეში.

მიწათ-მოქმედების მინისტრი პეტერბურგს დაბრუნდა.

გზათა სამინისტრომ შეიმუშავა ახალი შტატები სხვა-და-სხვა ოლქების გზათა სამმართველოებისა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსაღები ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 24 სექტემბერს

გექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,90	
ბერლინზე 100 მარკაში	—	
პარიზზე 100 ფრანკში	37,35	
ლონდონზე ჩეკები	94,65	
ბერლინზე „	46,25	
პარიზზე „	37,60	
ბირჟის დისკონტი	4½—6½%	
4% სახელმწიფო რენტა	97⅛	გაყიდ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ. . .	99½	„
4½% შინაგანი სესხი 1893 წ. .	100	მყიდვ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა.	—	
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	467½	გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	355½	„
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	290¾	„
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	87½	„
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	89½	„
4½% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	85	„
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	89½	მყიდვ.
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქციია	185	გაყიდ.

განცხადებანი

ქუთაისში

საჰ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ**. სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—10)

[illegible]

[illegible] 1901 წლის [illegible] გამოფენა

ახალი სახურავი,

რომელზედაც პატენტია აღებული

ფაბრიკა და საცინკო ქარხანა

ი. შელენგოვსკის და ამხანაგობისა

ბათუმში.

დიდხანს გამძლეობა და იაფი სახურავი

არ საჭიროებს შეღებვას, მსუბუქია და ადვილად დასადგმელია.

პლასტინები და სახურავის ყველა ნაწილები ცინკით მოკალულ რკინისა.

პრეის-კურანტი მოთხოვნისათანავე მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ.

ამხანაგობის წარმომადგენელნი:

ტფილისში გ. მულიარსკი

(ერევნის მოედანზე № 25)

ქუთაისში ვ. ჭილაძე

(ტფილ. ქუჩა საკუთ. სახ.)

(50—40)

Дозв. ценз. Тифлисъ, 8 Октября, 1902 г. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).